საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 1/1640-14
„02" 12 2008

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო
მდივნის სამსახური

შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასასრულებლად გიგზავნით, 2008 წლის 20 ნოემბერს ხელმოწერილი "ამერიკის შეერთებული შტატების, რომელიც მოქმედებს "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" სახით და საქართველოს მთავრობას შორის დადებული "ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის" პირველი შესწორების" ინგლისურენოვანი ორიგინალისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული ტექსტების ასლებს შესაბამისი უწყებების დასკვნებითურთ.

ამასთან გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული შესწორების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი: 29 ფურცელი.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს პრეზიდენტის
№ 9/6388
4. 12. 2008
30

01/36
4. 12.

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის 1. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge

Millennium Challenge Georgia Fund
Reducing Poverty Through Growth

Ref.: MCG/CEO/OUT/1682

25/11/2008

საქართველოს საგარეო საქმეთა

მინისტრის მოადგილეს

ქ-ნ ნინო კალანდაძეს

ქ-ნო ნინო,

წარმოგიდგენთ, ამერიკის შეერთებული შტატების, რომელიც მოქმედებს „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" სახით და საქართველოს მთავრობას შორის დადებული „ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის" პირველ შესწორებას.

„ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის" პირველი შესწორება, რომელსაც ხელი მოეწერა 2008 წლის 20 ნოემბერს, რატიფიკაციის მიზნით საჭიროებს შესაბამისი პროცედურების გატარებას.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში მოახდინოთ შესაბამისი პროცედურების გატარება.

დანართის სახით წარმოგიდგენთ „ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის" პირველი შესწორების ხელმოწერილ ორიგინალს ინგლისურ ენაზე. აგრეთვე, შესწორების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს ელექტრონული სახით.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი აბდუშელიშვილი

4 Sanapiro Str., 0105 Tbilisi, Georgia. Phone.: (+995 32) 507 770; Fax: (+995 32) 939 144
Email: info@mcg.ge URL: www.mcg.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 2/18111-14
27. 10 200 8

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გიგზავნით, „საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" პირველი შესწორების პროექტზე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებების დასკვნებს.

სამინისტროს მიერ შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით, „ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის" 30-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, უზრუნველყოთ განმარტებითი ბარათისა და შეთანხმების ფურცლის მომზადება და ასევე გვაცნობოთ მოლაპარაკების გამართვის ფორმა, სასურველი თარიღი და წარმოადგინოთ კანდიდატურა.

დანართი: ჩვენგან

ირაკლი გივიაშვილი
საერთაშორისო სამართლებრივი
დეპარტამენტის დირექტორი

№ 2982
28.10.08 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 17059-3
27 10 2008 წ.
ფურცლის რაოდენობა

0118 თბილისი, შოთ. რიტაძის 1. №4; ტელ.: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 438/14
21 10 2008

დასკვნა
"საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" პირველი შესწორების პროექტზე

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა "საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" პირველი შესწორების პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შოთა რიტაძის 1. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 24/23/03-7851 08 10 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თქვენი მიმდინარე წლის 29 სექტემბრის №2/16280-14 წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" პირველი შესწორების პროექტი და გაცნობებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ „საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" მე-53 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი შესწორების პროექტი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

შალვა კვინიხიძე
საერთაშორისო საგარეო
სამართლის დეპარტამენტის [illegible]

19745/2-01
10 10 8

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30. ტელ.: 75-82-76, ფაქსი: 75-82-76, ელ.ფოსტა: intlawdep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 75-82-76, Fax: 75-82-76, E-MAIL: intlawdep@justice.gov.ge

საქართველოს
ენერგეტიკის სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY
OF GEORGIA

№ 03/2107 „ 08 " 10 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ განიხილა თქვენი ა.წ. 29 სექტემბრის №2/16281-14 წერილით წარმოდგენილი „საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" პირველი შესწორების პროექტი, რომელთან დაკავშირებით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

ლევან შეყლიშვილი

მინისტრის მოადგილე

19758/2-01
10.10.8

საქართველო, თბილისი, 0105 ბარათაშვილის ქ. 2; ტელ/ფაქსი: 91 92 69, 91 92 55; ელ-ფოსტა: mail@minenergy.gov.ge
2 Baratashvili str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel./Fax: +995 32 91 92 69, +995 32 91 92 55; E-mail: mail@minenergy.gov.ge

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

27. 10 2008 წ. № 17/2520/3-8

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 29 სექტემბრის №2/16283-14 წერილი, "საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის" პირველი შესწორების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

მინისტრის მოადგილე თ. კოეზირიძე

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 93 28 61, 92 01 08

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-02/9768 20 - 10 2008

თქვენს № _____

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო კალანდაძეს

ქალბატონო ნინო,

საგარეო საქმეთა სამინისტროს 29.09.08 წლის №2/16279-14 წერილით წარმოდგენილი ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას, რომელიც მოქმედებს "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" სახით და საქართველოს მთავრობას შორის დადებული "ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის" პირველი შესწორების პროექტთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილი ცვლილების პროექტის სათაურში ფრაზა "ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას, რომელიც მოქმედებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახელით" უნდა შეიცვალოს კომპაქტის შესაბამისად შემდეგნაირად: "ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას, რომელიც მოქმედებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახით".
2. წარმოდგენილი ცვლილების პროექტის მთელ ტექსტში ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია ნახსენებია როგორც "კორპორაცია" მაშინ როდესაც კომპაქტის მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო კორპორაცია მოიხსენიება როგორც "MCC".
3. წარმოდგენილი ცვლილების პროექტში გამოყენებულია ფრაზა "ეიცე პრეზიდენტი საოპერაციო დარგში", მაშინ როდესაც კომპაქტის 5.2 ნაწილში მოიხსენიება "ქვეყნების პროგრამების ეიცე პრეზიდენტი".
4. წარმოდგენილი ცვლილების პროექტში გამოყენებულია ფრაზა "ან წინამდებარე კომპაქტის შესწორება 5.3 ნაწილის შესაბამისად", მაშინ როდესაც კომპაქტის 5.11 ნაწილში მოიხენიება "გარდა წინამდებარე კომპაქტის ან 5.3 მუხლის შესაბამისად მასში განხორციელებული ცვლილებების ხელმოწერისა".

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ ცვლილებების პროექტს ხელი ეწერება ინგლისურ ენაზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნული დოკუმენტის ინგლისური ვარიანტი.

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 20242/2
20 10 2008
1

ქ. თბილისი 0114, ქ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442, E-mail: info@mof.ge

...ის გარემოს დაცვისა
...ბუნებრივი რესურსების
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION
AND NATURAL RESOURCES OF
GEORGIA

„06" 10 „2008 წ.
№ 07-02-05/3167
თქვენი 200 წლის „___" „___"
№ _____ წერილის პასუხად

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

თქვენი №2/16282-14. 29.09.2008 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ "საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" პირველი შესწორების პროექტთან დაკავშირებით, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დავით იოსელიანი
მინისტრის მოადგილე

საქართველო, 0114 თბილისი, ზ. გულუას ქ. №6, ტელ. 727200, 727220, ფაქსი 727237
6 G, Gulua. str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel: (+995 32) 727200, 727220, Fax: 727237
www.moe.gov.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამ. 6, ტელ.: 37-80-37, ფაქსი: 37-80-13

17.10.08 № 4-1-8/2263

თქვენი მ.წ. 10.10
№ 2/16284-14 წერილის პასუხად

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ გრიგოლ ვაშაძეს

ბატონო გრიგოლ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს "საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" პირველი შესწორების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ალექსანდრე ცინცაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 20214 01
17.10.2008
1 ფ
+05+

ქ. ოდელიძე
071008

საქართველოს ეროვნული ბანკი

0105, თბილისი, ლენინის 3/5
ტელ.: 99-65-05, ფაქსი: 99-93-46
ტელექსი: 212952 LEGAL.GI
ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
კოდი: 20410484

3.10.2008 № 180/03

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს საერთაშორისო
სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორს
ბატონ ი. გივიაშვილს

თქვენს 8/წლის 29 სექტემბრის N3/1736-14 წერილზე

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა „საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების" პირველი შესწორების პროექტი.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს თავის კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტის მიმართ შენიშვნა არა აქვს.

პატივისცემით,

დ. ამაღლობელი
ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

05 02/3-14
07.10.08